საქართველოს პარლამენტის წევრი

2275-07-4-2-201802271312

N 2275/07-4
27/02/2018

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ბატონ მიხეილ ჯანელიძეს

ბატონო მიხეილ,

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქართული მხარე აპირებს დაეთანხმოს ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში ძალის არ-გამოყენების შესახებ განცხადებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ, **საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 221-ე მუხლის შესაბამისად,** განგვიმარტოთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დამოკიდებულება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით.

- რა სტატუსი ექნება ამ განცხადებას? დაგვავალდებულებს თუ არა ეს განცხადება ძალის არ-გამოყენებაზე? საქართველოს ეს ვალდებულება უკვე აღებული აქვს. ანალოგიურად, აღებული აქვს ჟენევის მოლაპარაკებების სხვა მონაწილეებსაც, მიუხედავად მათი აღიარება/არ-აღიარებისა. ერთადერთი, ვისაც მსგავსი ვალდებულება არ დაუდასტურებია არის ოფიციალური მოსკოვი. გააძლიერებს, თუ არა ეს განცხადება ჩვენი და საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლას მოსკოვზე, რომ ასეთი ვალდებულება განაახლოს, ან თავიდან აიღოს?
- იქნება თუ არა ეს განცხადება ინტერპრეტირებული ჩვენს მიერ ოფიციალურ კომუნიკაციაში როგორც რუსეთის ფედერეციის მიერ ძალის-არ გამოყენების ვალდებულების თავიდან აღება?
- იქნება თუ არა ეს განცხადება ინტერპრეტირებული, მათ შორის, ჩვენი პარტნიორების მიერ, როგორც საქართველოს მიერ ძალის არ-გამოყენების ვალდებულების თავიდან აღება?
- ეს განცხადება მომზადდა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და, როგორც ცნობილია, მასზე დათანხმება ასევე მოხდება სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ სამუშაო ჯგუფებში ყველა მონაწილეობს მისი პირადი სტატუსით (in individual capacity). გამოიწვევს თუ არა ამ განცხადებაზე შეთანხმება ჟენევის ე.წ. არქიტექტურის ეჭვქეშ დაყენებას, იმ კუთხით, რომ სოხუმის და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლები მხოლოდ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობენ, რაც არ აძლევთ მათ საშუალებას რაიმე ფორმით შეუერთდნენ იურიდიულად, თუ პოლიტიკურად სავალდებულო დოკუმენტებს? თუ არ გამოიწვევს, როგორ?
- ცნობილია, რომ ქართული მხარე არ ეთანხმებოდა ძალის არ-გამოყენების განცხადების მიღებას მანამ, სანამ რუსეთი ამა თუ იმ ფორმით, თუნდაც ცალმხრივი განცხადების გზით, არ აიღებდა ასეთ ვალდებულებას. ამ მიზნით, დოკუმენტში იმყოფებოდა ე.წ. სქოლიო (asterisk). გთხოვთ, განგვიმარტოთ, რატომ შეცვალა ქართულმა მხარემ ეს პოზიცია? ასევე, გთხოვთ, ჩამოგვითვალოთ, უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში რომელ საერთაშორისო ფორუმებზე, კონფერენციებზე, თუ სხვა ღონისძიებებზე დავუსვით ეს შეკითხვა რუსეთის უმაღლეს წარმომადგენლებს, იმ მიზნით, რომ გაგვერკვია რა დამოკიდებულება აქვთ მათ საქართველოს მიმართ ძალის არ-გამოყენების ვალდებულებასთან დაკავშირებით.
- ძალის არ-გამოყენების შესახებ განცხადების ტექსტში არის თუ არა საუბარი „უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმებზე" – international security arrangements?
- ძალის არ-გამოყენების განცხადების მიღების ერთ-ერთ არგუმენტად მოვისმინეთ, რომ ჟენევის მოლაპარაკებებში დაიწყება მუშაობა უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმებზე. გთხოვთ, განგვიმარტოთ, მოსკოვის მხრიდან არის თუ არა ღია თანხმობა ამაზე? ასევე, განიხილება, თუ არა რაიმე კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც გააქტიურებდა მუშაობას

ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის მიზნით.

ევროპული საქართველოს პოზიციაა, რომ ასეთ განცხადებაზე დათანხმება, მანამ, სანამ რუსეთს არ დაუდასტურებია საქართველოს მიმართ ძალის არ-გამოყენების ვალდებულება, არის დიპლომატიური შეცდომა. მსგავსი განცხადების მიღებით (ა) შესუსტდება წნეხი მოსკოვზე, რომ მანაც აიღოს ძალის არ-გამოყენების ვალდებულება ჩვენს მიმართ; (ბ) დაიკარგება ტერმინი „უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმები"; (გ) ეჭვქვეშ დადგება ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ინსტიტუციური არქიტექტურა, სამუშაო ჯგუფების როლის გაზრდის და პლენარული ფორმატის შესუსტების კუთხით; და (დ) გაძლიერდება მოსკოვის პოზიცია, რომ „ჟენევის ფორმატში საქართველომ, აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა ერთმანეთის მიმართ აიღეს ძალის არ-გამოყენების ვალდებულება, ხოლო რუსეთი არის ამ ვალდებულების შესრულების გარანტი".

თუ ჩვენ ვცდებით, გთხოვთ, არგუმენტირებული პასუხი მოგვაწოდოთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კითხვაზე.

ასევე, გთხოვთ, 2017 წლის 1 სექტემბერს თქვენთვის გამოგზავნილი საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციების თავმჯდომარეების ერთობლივი წერილის თანახმად, გამონახოთ დრო და მობრძანდეთ საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე, რათა ამ და სხვა საკითხებზე მოვისმინოთ თქვენი პასუხები და გავმართოთ დისკუსია.

პატივისცემით,
სერგი კაპანაძე